 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

29/01/2026

MES 4 26 0000087204

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურმეცნიერებათა, ბიზნესისადასამართლისფაკულტეტის სოციალურმეცნიერებათა, ბიზნესისადასამართლისდეპარტამენტისსპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5) და უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის უფროსის ქეთევან ხმალაძის სამსახურებრივი ბარათის (29/01/2026 წ.N84281) საფუძველზე:

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დ ა ს ა კ ა ვ ე ბ ლ ა დ ;
2. წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკავლიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (რომელიც თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);
ვ) ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ;
ზ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.

4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.

5. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2026 წლის 9 თებერვალს და დასრულდეს 2026 წლის 16 თებერვალს;

6. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე #206-ე ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

7. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2026 წლის 18 თებერვალს;

8. კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2026 წლის 20 თებერვალს 12:00 საათზე.

9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

10. დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი / ადმინისტრაცია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რამაზაშვილი სოლომონ